ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერის სათათბირო ორგანოს -

სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს სხდომის

ოქმი N 10

ბათუმი **06.12.2022**

ქალაქ ბათუმის მერის სათათბირო ორგანო - მრჩეველთა საბჭომ, რიგით მეათე სხდომაზე, რომელიც გაიმართა, ამა წლის 6 დეკემბერს განიხილა შემდეგი საკითხი:

საკითხი 1. ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის პროექტი და პრიორიტეტების დოკუმენტი.

სხდომას სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს წევრებთან ერთად ესწრებოდნენ მერიის სამსახურების უფროსები: ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურის უფროსი სოფიო მიქელაძე, ინფრასტრუქტურისა და კეთილმოწყობის სამმართველოს უფროსი აკაკი ბერიძე, საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი ედნარ ნატარიძე, განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამსახურის უფროსი მერაბ ქიძინიძე.

მოსაზრებები 2023 წლის ბიუჯეტის პროექტზე და პრიორიტეტების დოკუმენტზე 2023 წლის ბიუჯეტის პროექტისთვის გამოთქვეს:

დავით ქობულაძემ. მან ჯანდაცვის მიმართლებით პროგრამებზე ისაუბრა: აჭარაში დღეს ჰოსპისური მომსახურება თითქმის არ არსებობს. სტაციონარული მომსახურება პალიატიურ პაციენტებზე მხოლოდ ერთ კლინიკაში არის, კერძოდ, "მედცენტრში" და ისიც ძალიან მცირე კონტიგენტზეა გათვლილი, ბინაზე კი არ არის. ჩემი აზრით პალიატიური პაციენტების ბინაზე მოვლის პროგრამის განახლება ან ჰოსპისის ტიპის ორგანიზაციის ჩამოყალიბება აუცილებელია. ჰოსპისის საქმიანობაში გათვალისწინებული უნდა იყვნენ სხვადასხვა სპეციალობის პროფესიონალები – ექიმები, ექთანები, სოციალური მუშაკები და შინმოვლის სპეციალისტები. შესაძლებელია ფარმაცევტების, კვების სპეციალისტებისა და ფიზიოთერაპევტების მონაწილეობაც. ჰოსპისის პროგრამა აჭარაში საერთოდ არ არსებობს, არც ბავშვთა და არც ზდასრულთა ჰოსპისი. ქრონიკული და უკურნებელი სენით დაავადებული ბავშვებიცა და ზდასრულებიც იმსახურებენ მოვლა-პატრონობასა და მათი სიცოცხლის გახანგრძლივებას. ასეთი ტიპის პაციენტები ხშირად იტანჯებიან, არ აქვთ რესურსი და ესაჭიროებათ გვერდით დგომა. ჰოსპისის პაციენტები ხშირად მარტოხელა მოხუცები არიან, მათ არ ჰყავთ ნათესავები, აქვთ მძიმე სოციალური მდგომარეობა და მათზე ზრუნვა ჰოსპისმა უნდა აიღოს. ჩვენ მათ უნდა მივაწოდოთ საკვები, მედიკამენტები, დავეხმაროთ გარემოს მოწესრიგებაში, ჩაუტარდეთ სამედიცინო მანიპულაციები და ვანუგეშოთ, ემპათია არის ის, რაც მათ ყველაზე მეტად ესაჭიროებათ.

ამიტომ, მიგვაჩნია,რომ საჭიროა პალიატიურ მზრუნველობაზე საყოველთაო ხელმისაწვდომობა, რაც პაციენტების სიმპტომების ინტენსივობას შეამცირებს, ასევე თავად მომაკვდავისა და მისი ოჯახის წევრების განათლებაში დაეხმარება, ეს კი პაციენტს სათანადო მოვლას უზრუნველყოფს და მყუდრო გარემოს შეუქმნის. გარდა სამედიცინო პერსონალის დახმარებისა, სოციალურმა მუშაკებმა, ღვთისმსახურებმა და მოხალისეებმა ინტერპერსონული, სულიერი და ფინანსური საკითხების მოგვარება უნდა უზრუნველყონ. დასკვნა: აუცილებელია საყოველთაო ხელმისაწვდომობა და ვფიქრობთ, რომ აჭარის მოსახლეობის პალიატიური პაციენტებს ესაჭიროებათ მხარდაჭერა, შესაბამისად, სასურველია ამ პროგრამის ამოქმედება.

მრჩეველთა საბჭოს სხვა წევრებმა საკითხები განიხილეს დისკუსიის ფორმატში. თანდართულ ფაილად ოქმს თან ერთვის მრჩეველთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილის რამინ მაჭარაშვილის მოსაზრებები. (PDF ფაილი)

მრჩეველთა საბჭოს სხდომას ასევე ესწრებოდა ბათუმის მერის ახალგაზრდული მრჩეველთა საბჭოს წევრებიც, რომლებიც აქტიურად მონაწილეობდნენ დისკუსიაში.

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერის სათათბირო ორგანოს - სამოქალაქო მრჩეველთა საბჭო

ქ. ბათუმი

მრჩეველთა საბჭოს წევრები: 06.12.2022

N	სახელი და გვარი	პოზიცია	ხელმოწერა
1	აფხაზავა ირმა	წევრი	
2	აფხაზავა ნათია	წევრი	
3	გუდავა თამარ	თავმჯდომარე	
4	თურმანიძე თამაზ	წევრი	
5	ინაიშვილი ნინო	წევრი	—
6	კვირიკაძე მაყვალა	წევრი	
7	ლორია მანუჩარ	წევრი	
8	მაჭარაშვილი რამინ	თავმჯდომარის მოადგილე	
9	მეიშვილი თამილა	წევრი	—
10	ნაკაშიძე ლაშა	წევრი	—
11	ქათამაძე ციური	წევრი	—
12	ქობულაძე დავით	წევრი	
13	შავიშვილი რუსუდან	წევრი	—
14	შერვაშიძე ალექსანდრე	მდივანი	—

ქ. ბათუმის მერის მრჩეველთა საბჭოს წევრის

რამინ მაჭარაშვილის

რეკომენდაციები ქ. ბათუმის მერიას 2023 წლის პროგრამებზე

შესავალი

გავეცანი ქ. ბათუმის მერიის 2023 წლის პროგრამებს, რომლის შესახებაც უნდა აღინიშნოს, რომ პროგრამები გამოირჩევა მრავალფეროვნებით და მოცულობით, რომელიც გათვლილია საზოგადოების მოწყვლადი კატეგორიის ჯგუფებზე, რაც მართლაც აღსანიშნი და მისასალმებელი ფაქტია. მიუხედავად ამისა მე, როგორც შეზღუდული შესაძლებლობის მქონე (შშმ) პირთა თემის წარმომადგენელს მერის მრჩეველთა საბჭოში მექნება რამდენიმე კონკრეტული რეკომენდაცია, კონკრეტულ პროგრამებთან დაკავშირებით, რომელიც შეთანხმებულია შშმ პირთა თემის წევრებთან და მათი ოჯახის წევრებთან.

რეკომენდაცია 1.

<u>პრობლემის აღწერა:</u>

ქვეპროგრამა შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირების ასისტენტით მომსახურება (კოდი 06.02.11) გათვლილია შშმ პირთა რამდენიმე კატეგორიაზე, რომელთაგან მხოლოდ ეტლით მოსარგებლე პირები იღებენ დადგენილი სტანდარტების შესაბამის პერსონალური ასისტენტის სერვისის მომსახურებას, ხოლო უსინათლოები ღებულობენ მხოლოდ გამცილებლის სერვისს.

რაც შეეხება სმენის არ მქონე პირებს, ისინი ღებულობენ მათი ოჯახის წევრებისთვის ჟესტური ენის უფასო კურსს.

მიუხედავად იმისა, რომ ზემოაღნიშნული სერვისები უმნიშვნელოვანესია შშმ პირებისთვის და გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს მათი დამოუკიდებელი ცხოვრების ხარისხის გაზრდისთვის, ქვეპროგრამა სტრუქტურულად არის დაუხვეწავი (ერთ დიდ აბზაცშია აღწერილი სამივე კატეგორიის შშმ პირებზე განსაზღვრული სხვადასხვა სერვისი, რომელსაც მხოლოდ ერთი კონკრეტული სერვისის სახელი ჰქვია).

ასევე, პრობლემურია ის, რომ მხოლოდ ეტლით მოსარგებლე პირები იღებენ დადგენილი სტანდარტის შესაბამის პერსონალური ასისტენტის სერვისს, რაც ქმნის დისკრიმინაციის წახალისების პრაქტიკას და ბათუმში მცხოვრები სხვა კატეგორიის შშმ პირების და ოჯახის წევრების უკმაყოფილებას იწვევს. ასევე პრობლემურია ასისტირებაზე გამოყოფილი თანხები და ბენეფიციართა ოდენობაც.

<u>ამიტომ რეკომენდებულია:</u>

შშმ პირთა უფლებადამცველ ორგანიზაციებთან, შშმ პირთა თემის და ოჯახის წევრებთან შეხვედრა და მათი პოზიციების მოსმენა მათი სურვილის გამომხატველი პროგრამის აღწერა (იხ. დანართი N1-ში).

რეკომენდაცია 2.

<u>პრობლემის აღწერა:</u>

ქ. ბათუმის მერთან, ბატონ არჩილ ჩიქოვანთან და ასევე მრჩეველთა საბჭოსთან მიღწეულია შეთანხმება და მათი დასტურიც არსებობს, რომ ბათუმში არსებული ინკლუზიური თეატრალური დასი/სტუდია, რომელსაც მნიშვნელოვანი მიღწევები აქვს ახალგაზრდების და შშმ პირთა (50 პირზე მეტი) ჩართულობის თეატრალურ სფეროში (რაც ინოვაციური მიდგომაა მთელი რეგიონის მასშტაბით) გადავიდეს ქ. ბათუმის მერიის ყოველწლიურ დაფინანსებაზე, რათა მათი წევრების განვითარება და ბათუმის პოპულარიზაცია ამ ინოვაციურ სფეროში არ შეფერხდეს, რომლის საფრთხეც ამ ეტაპზე ჯერ კიდევ არის, რადგან ტექნიკური და ბიუროკრატიული პროცედურები ბათუმის ინკლუზიური თეატრალური დასი/სტუდიის ქ. ბათუმის მერიის ყოველწლიურ დაფინანსებაზე გადასაყვანად ჯერ კიდევ არ დასრულებულა.

<u>რეკომენდაცია:</u>

მაქსიმალურად სწრაფად (ბათუმის 2023 წლის მუნიციპალური ბიუჯეტის პროექტის დამტკიცებამდე) დასრულდეს ბათუმის ინკლუზიური თეატრალური დასი/სტუდიის ქ. ბათუმის მერიის ყოველწლიურ დაფინანსებაზე გადაყვანის პროცესი.

რეკომენდაცია 3.

<u>პრობლემის აღწერა:</u>

ქ. ბათუმში წლებია მინდინარეობს მრავალი და საკმაოდ მოცულობითი ინფრასტრუქტურული სამუშაოები, თუმცა ამ სამუშაოების შესრულების დროს ნაკლებად ხდება შშმ პირთა საჭიროებების გათვალისწინება, რის გამოც სამუშაოების დასრულების შემდეგ ვიღებთ შშმ პირთათვის არაადაპტირებული და მიუწვდომელ ფიზიკურ გარემოს, რითაც ირღვევა შშმ პირთა უფლებების დასაცავად 2014 წლიდან მოქმედი საქართველოს კანონმდებლობა, მათ შორის გაეროს 2006 წლის შშმ პირთა უფლებების კონვენცია, 2020 წლის შშმ პირთა უფლებების დაცვის შესახებ საქართველოს კანონი, 2016 წლის მთავრობის დადგენილება ტექნიკური რეგლამენტი „შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების “ დამტკიცების თაობაზე და მთავრობის 2020 წლის დადგენილება ტექნიკური რეგლამენტი – „მისაწვდომობის ეროვნული სტანდარტების“ დამტკიცების თაობაზე.

<u>რეკომენდაცია:</u>

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, აუცილებელია ქ. ბათუმის მერიის შესაბამისმა სამსახურებმა სამუშაოების დაგეგმვამდე (მათ შორის სატენდერო წინადადებების მომზადების ჩავლით) გაითვალისწინონ ზემოაღნიშნული საკანონმდებლო და კანონქვემდებარე აქტების მოთხოვნები და უზრუნველყო შშმ პირთა (მათ შორის უსინათლოებისთვის) საჭიროებებზე გათვლილი ინფრასტრუქტურის შექმნა ბათუმში.

პატივისცემით,

რამინ მაჭარაშვილი **07/12/2022 წ.**

დანართი N1

ქვეპროგრამის ფორმა

ქვეპროგრამის კლასიფიკაციის კოდი:	ქვეპროგრამის დასახელება	პროგრამის დასახელება, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება ქვეპროგრამა
06 02 11	შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის დამოუკიდებელი ცხოვრების ხელშეწყობა	სოციალური უზრუნველყოფა

ქვეპროგრამის განმახორციელებელი:	ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური	ქვეპროგრამის ბიუჯეტი	2022 წლის დაფინანსება (ლარი)	2023 წლის დაფინანსება (ლარი)	2024 წლის დაფინანსება (ლარი)	2025 წლის დაფინანსება (ლარი)
			124,776	110,000	110,000	110,000

ქვეპროგრამის მიზანი	საზოგადოებრივ ცხოვრებაში შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა ჩართულობის ხელშეწყობა
ქვეპროგრამის აღწერა	შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები, კერძოდ კი მკვეთრად ან/და მნიშვნელოვნად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე პირები უმეტესად ვერ ახერხებენ საზოგადოებრივ ცხოვრებაში აქტიურად ჩართვას, რაც გამოწვეულია ქვეყანაში და საზოგადოებაში არსებული ფიზიკური და სხვა ბარიერებით, რის გამოც მათ ესაჭიროებათ საზოგადოებრივ და სხვადასხვა საყოფაცხოვრებო სფეროებში მხარდაჭერა, კერძოდ, სხვადასხვა სახელმწიფო და კერძო დაწესებულებებში გაყოლა, კომუნიკაციაში მხარდაჭერა, საყოფაცხოვრებო ქმედებებში (ჰიგიენა, ჩაცმა, კვება, გადაადგილება და სხვა) მხარდაჭერა, რისთვისაც სჭირდებათ დამხმარე სპეციალისტების მომსახურება. ამიტომ ქვეპროგრამა ითვალისწინებს მკვეთრად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე პირთა მხარდაჭერის მიზნით პერსონალური ასისტენტის მომსახურების, ჟესტური ენის სწავლების და უსინათლოთა გამცილებლის დაფინანსებას. კერძოდ: 1. ქვეპროგრამა ითვალისწინებს 48 მკვეთრად გამოხატული უსინათლო შშმ პირის გამცილებლის სერვისით უზრუნველყოფას, რომელთაც მოემსახურება რვა გამცილებელი. ერთი გამცილებელი მოემსახურება 6 უსინათლო შშმ პირს, კვირაში თითოეულს 2-ჯერ თითო საათის განმავლობაში. გამცილებლები მოსარგებლეებს გაუწევენ ქვეპროგრამით გათვალისწინებულ შესაბამის დახმარებას გადაადგილებაში. 2. გაეროს 2006 წლის შშმ პირთა უფლებების კონვენციის მე-19 მუხლის (დამოუკიდებელ ცხოვრებაში სრულყოფილი ჩართვა) განხორციელების ხელშეწყობის მიზნით ქვეპროგრამა ითვალისწინებს პერსონალური ასისტენტის მომსახურებით 7 წლის ასაკის ზემოთ მკვეთრად და მნიშვნელოვნად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე იმ პირების (30 პირი) უზრუნველყოფას, რომლებიც ცდილობენ დამოუკიდებელი ცხოვრების წესით ცხოვრებას და მონაწილეობენ სხვადასხვა ყოველდღიურ (საგანმანათლებლო, სპორტული, კულტურული და სხვა) აქტივობებში, მუშაობენ და / ან არიან მარტოხელა შშმ პირები და საჭიროებენ მხარდაჭერას ყოველდღიურ აქტივობებში (ჰიგიენა, ჩაცმა, კვება, გადაადგილება და სხვა). პერსონალური ასისტენტის მომსახურების ხარჯი მოიცავს ბენეფიციარისთვის სერვისის მიწოდების მიზნით ასისტენტის ბენეფიციართან ვიზიტების (საათის) და სერვისის უწყვეტი განხორციელებისთვის საჭირო ადმინისტრირების საფასურს. 3. სმენის არმქონე/სმენადაქვეითებული შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე 18 წლამდე პირების ოჯახის წევრებთან კომუნიკაციის გამარტივების ხელშეწყობის მიზნით ქვეპროგრამა ითვალისწინებს სმენადაქვეითებულ ბავშვთა ოჯახის წევრებისათვის ქართული ჟესტური ენის სწავლებას.

ქვეპროგრამის მოსალოდნელი შუალედური შედეგი	ხელშეწყობილია შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების საზოგადოებრივ ცხოვრებაში ჩართულობა

№	მოსალოდნელი შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორი	ინდიკატორის მაჩვენებლები		ცდომილების ალბათობა (%/შესაძლო რისკები - აღწერა)
		საბაზისო 2022 წელი	მიზნობრივი 2023 წელი	
1	ქვეპროგრამით მოსარგებლე ბენეფიციართა რაოდენობა	102	108	10% - მომართვიანობის ცვლილება, ცნობიერების დაბალი დონე

№	ღონისძიების დასახელება	პროდუქტები			სულ (ლარი)	მათ შორის:	
		განზომილება	რაოდენობა	ერთეულის საშუალო ფასი		საბიუჯეტო სახსრები	საკუთარი სახსრები
1	სმენის არმქონე/სმენადაქვეითებულ შშმ ბავშვთა (18 წლამდე) ოჯახის წევრებისათვის ქართული ჟესტური ენის სწავლება 5 თვის განმავლობაში	პირი	30	300	9,000	9,000	
2	პერსონალური ასისტენტების მიერ მკვეთრად და მნიშვნელოვნად გამოხატული 30 შშმ პირისთვის ასისტირების განხორციელება 12 თვით	ვიზიტი	21,600	15	324,000	324,000	
3	მკვეთრად შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე უსინათლო პირების გამცილებლით მომსახურება	პირი	48	1152	55,296	55,296	
სულ ქვეპროგრამა					**388,296**	**388,296**	**0**

№	**3**

1	ქვეპროგრამით ისარგებლებენ მკვეთრად და მნიშვნელოვნად შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე პირები, რომლებიც რეგისტრირებული არიან ქალაქ ბათუმში 2023 წლის 1 იანვრამდე. **პერსონალური ასისტენტის მომსახურების მიღების მსურველისთვის საჭირო დოკუმენტაცია და პირობები:** განცხადება, პირადობის მოწმობის ქსეროასლი, შშმ პირის სტატუსის ცნობა და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა პერსონალური ასისტენტის სერვისის მართვის სტანდარტების დამტკიცების შესახებ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2022 წლის 18 თებერვალის N ბრძანება №01-13/ნ-ით განსაზღვრული სხვა აუცილებელი დოკუმენტები. **ასისტენტის პოზიციაზე დასაქმების მსურველმა კი უნდა წარმოადგინოს შემდეგი დოკუმენტაცია:** პირადობის მოწმობის ქსეროასლი, ცნობა ჯანმრთელობის მდგომარეობის და ნასამართლეობის შესახებ, პერსონალური ასისტენტის მომზადების/გადამზადების გავლის დამადასტურებელი სერტიფიკატი/დიპლომი და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა პერსონალური ასისტენტის სერვისის მართვის სტანდარტების დამტკიცების შესახებ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2022 წლის 18 თებერვლის N ბრძანება №01-13/ნ-ით განსაზღვრული სხვა აუცილებელი დოკუმენტები. **ქვეპროგრამა განხორციელდება** ამავე ქვეპროგრამის და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა პერსონალური ასისტენტის სერვისის მართვის სტანდარტების დამტკიცების შესახებ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2022 წლის 18 თებერვალის N ბრძანება №01-13/ნ-ით განსაზღვრული პირობებით.